

# მოტივაციის როლი ფრანგულის, როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში

მირანდა ლომიძე

ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

## THE ROLE OF MOTIVATION IN TEACHING/LEARNING FFL

*Lomidze Miranda,*

*Associate Professor at Akaki Tsereteli state University, Kutaisi, Georgia*

### Abstract

**Introduction and aim:** While learning foreign languages the work which is based on the project is an interesting alternative. In this context the process of learning French is achieved throughout well-established activities which have as a goal the realization of a project through collaboration. The project pedagogy consists of a learning process which engages and involves individuals or groups of pupils in different situations of interaction. Project based-pedagogy, can be divided in three types of projects: commercial products, media products and group-centered products. The second type, media products, seems to be more feasible due to modern technologies, which are used as a way of attracting and motivating pupils in the learning process. The teacher's role in the development of the project is guiding the students in the research process. This is the way that allows the pupil to get progressively the necessary knowledge and abilities in possessing a foreign language. An important thing of the project pedagogy is helping each pupil to find his or her area where he could implement his knowledge of the French language.

Motivation arouses pupils' interest, helps the students keep their enthusiasm and inspires them. In order to motivate pupils the teacher has the task to select the material of the teaching- learning process considering the intellectual and psychological level of the pupils and the age peculiarities.

All over the world, the teaching of French language, the technological gap between the "extra-educational space" of learners and their learning space, become more and more problematic. Experts' opinions meet common sense: every learner, without any consideration for his/her age, his/her social class or technical skills, is attracted to and, a priori motivated by new technologies. The simple act of promoting new technologies in education anchors itself, in itself, in a positive dynamic. Everything is within forefinger's reach on the same interface, time gained for pedagogical activities and an accelerated classroom dynamics. It should be noted that in educational terms, this technical perspective promises access to an infinite quantity of authentic triggers documents and to an increasing quantity of FFL activities getting better listed.

**Research methodology:** Quantitative and qualitative research

**Results and implications:** While learning foreign languages the work which is based on the project is an interesting alternative. In this context the process of learning French is achieved throughout well-established activities which have as a goal the realization of a project through collaboration. The teacher's role in the development of the project is guiding the students in the research process. This is the way that allows the pupil to get progressively the necessary knowledge and abilities in possessing a foreign language. An important thing of the project pedagogy is helping each pupil to find his or her area where he could implement his knowledge of the French language.

**Conclusion:** Motivation arouses pupils' interest, helps the students keep their enthusiasm and inspires them. In order to motivate pupils the teacher has the task to select the material of the teaching- learning process considering the intellectual and psychological level of the pupils and the age peculiarities.

**Keywords:** project based-pedagogy, foreign language, motivation, French language new technologies.

გლობალიზაციის ეპოქაში უცხო ენების შესწავლისას მოტივაციის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან განსაკუთრებული როლი ეკისრება სხვადასხვა ენის მატარებელთა შორის კომუნიკაციის როლს, შესაბამისად უცხო ენის სწავლა-სწავლება საზოგადოების კულტურული, სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად გვევლინება. ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, გასაკვირიც არა უნდა იყოს საზოგადოების მზარდი ინტერესი უცხო ენების, განსაკუთრებით კი ინგლისური ენის შესწავლისადმი. ერთი, ორი ან საუკეთესო შემთხვევაში სამი უცხო ენის ფლობა უმაღლესი განათლების მქონე თანამედროვე ადამიანის წარმატების განმსაზღვრელ, თითქმის

აუცილებელ ატრიბუტად იქცა. უცხო ენის ფლობა უკვე მოთხოვნაა წამყვან დაწესებულებაში მუშაობის უფლების მოსაპოვებლად. ბოლოდროინდელმა სოციალურმა, პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა მოვლენებმა და საქართველოს კურსმა, ითანამშრომლოს დასავლეთის ქვეყნებთან, ასევე ევროინტეგრაციისაკენ სწრაფვამ და საქართველოს, როგორც სახელმწიფოს სურვილმა, გახდეს ევროპის ნაწილი გამოიწვია ის, რომ გადაიხედა უცხო ენის სწავლების მიზნები და ამოცანები. დღევანდელი პოლიტიკური ვითარება და საერთაშორისო ურთიერთობების, საერთაშორისო კონტაქტების გაღრმავება მოითხოვს უცხო ენის უფრო სიღრმისეულ ცოდნას.

ყოველივე ეს მეტად პრესტიჟულს ხდის თავად საგანს „უცხო ენა“, განსაკუთრებით უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში, სადაც ხდება სტუდენტების მომზადება დასაქმების ბაზრისათვის და სადაც მათთვის აუცილებელ ცოდნასა და კომპეტენციებს უნდა დაეუფლონ. თუმცა მოტივაციის პრობლემა სწორედ აქ იჩენს თავს. მოტივაციის პრობლემა აქტუალურია და ჩნდება ნებისმიერ საგანთან მიმართებაში, თუმცა უცხო ენის შესწავლისას ის განსაკუთრებით მწვავედ ვლინდება. საქმე იმაშია, რომ თავად საგანი, „უცხო ენა“ ითხოვს სტუდენტისაგან გარკვეული ბაზისა და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების ქონას. სირთულეები ყოველთვის პირველივე საფეხურზე იჩენს თავს. განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება ფრანგულს, როგორც უცხო ენას. ფრანგული ენა, როგორც მოგეხსენებათ, საკმაოდ რთული ფონეტიკური სტრუქტურით არის ცნობილი. გრაფიკული ნიშნებისა და ბგერების რაოდენობა ძალიან განსხვავებულია, სტუდენტი, განსაკუთრებით ქართულენოვანი, რომელიც მიჩვეულია ფონეტიკურ ანბანს და უცებ აღმოაჩენს, რომ ფრანგულ სიტყვა beaucoup ში გვაქვს 8 ასო და 4 ბგერა და ასე დაუსრულებლად, თავს იჩენს მოტივაციის კლება პირველივე სირთულეებისთანავე. სირთულეს წარმოადგენს ისიც, რომ ქართული ენა გახლავთ სინთეზური, ხოლო ფრანგული ანალიზური, შესაბამისად სტუდენტებს ძალიან უჭირთ ხოლმე სხვადასხვა წინდებულების დამახსოვრება რომლებიც ბრუნვის ფუნქციას ასრულებენ. იგივე ითქმის პოლისემიურ ზმნებზე ფრანგულ ენაში, რაც ქართულისათვის უცხოა. შესაბამისად, ამ სირთულეების ფონზე მოტივაცია ერთ-ერთ თუ არა ერთადერთ მამოძრავებელ ძალად იქცევა ხოლმე უცხო ენის, განსაკუთრებით ფრანგული ენის შესწავლის პროცესში. რაც შეეხება მოტივებს, ეს საკმაოდ სუბიექტური შეიძლება იყოს სხვადასხვა სტუდენტის შემთხვევაში, შესაბამისად რთულდება მოტივირების პროცესი. თუმცა უცხო ენის შესწავლისას არსებობს ოქროს წესი, ადამიანი ისწავლის უცხო ენას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავად მიხვდება, რომ ეს მისთვის საჭირო და აუცილებელია.

არსებობს მოტივაციის სხვადასხვა ტიპი, რომლებიც გამოიყენება სწავლების, განსაკუთრებით კი უცხო ენების სწავლების პროცესში. ყველას ერთად სასწავლო მოტივაცია ეწოდება. სასწავლო მოტივაცია განისაზღვრება რიგი ფაქტორებით:

- ✚ მოსწავლის/სტუდენტის თავისებურებები (სქესი, თვითშეფასება, ინტელექტუალური განვითარების დონე)
- ✚ მასწავლებლის დამოკიდებულება პედაგოგიურ საქმიანობასთან მიმართებაში
- ✚ პედაგოგიური პროცესის ორგანიზება
- ✚ სასწავლო საგნის (ჩვენს შემთხვევაში უცხო ენის, კერძოდ ფრანგულის) სპეციფიკა

ზემოთჩამოთვლილი ფაქტორების საფუძველზე სასწავლო მოტივაცია შეიძლება დაიყოს გარეგან და შინაგან მოტივაციად.

გარეგანი მოტივაცია არ არის დაკავშირებული საგნის შენაარსთან, არამედ განპირობებულია სხვა გარემოებებით, ასეთად შეიძლება მოგვევლინოს:

- ✚ წარმატების მიღწევის სურვილი/მოტივი - რაც გამოწვეულია ადამიანის სურვილით, მიაღწიოს წარმატებას და ჰქონდეს კარგი შედეგი ნებისმიერ საქმიანობაში
- ✚ თვითდამკვიდრების სურვილი/მოტივი - სურვილი დაიმკვიდრო თავი, მიიღოს სხვათა აღიარება. ამ შემთხვევაში ადამიანი სწავლობს უცხო ენას, რათა მიიღოს განსაკუთრებული სტატუსი საზოგადოებაში, ინგლისურთან ერთად კი ფრანგულს იმიტომ სწავლობს, რათა განსხვავდებოდეს იმ უამრავი ადამიანისაგან, ვინც უკვე ფლობს ინგლისურს.
- ✚ იდენტიფიკაციის სურვილი/მოტივი - ადამიანი ილტვის დაემგვანოს ვინმეს ან უბრალოდ იყოს ისეთი, როგორც მისი მეგობარია, ან კუმირია, ან ნაწარმოების გმირია, რომელიც ლაპარაკობს ფრანგულად.
- ✚ აფილაციის სურვილი/მოტივი - სურვილი იკონტაქტოს სხვა ადამიანებთან. ფრანგული, გავრცელების თვალსაზრისით მეორე უცხო ენაა მსოფლიოში ინგლისურის შემდეგ, რომელიც წარმოდგენილია ხუთივე კონტინენტზე, შესაბამისად გლობალიზაციისა და თანამედროვე

ტექნოლოგიების ეპოქაში მეტია შანსი მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ეკონტაქტო ადამიანების განუსაზღვრელ რაოდენობას.

- ✚ თვითგანვითარების სურვილი/მოტივი - პერფექციონისტების სურვილი გახდნენ საუკეთესოები. უცხო ენის შესწავლა ერთგვარი სულიერი და ზოგადი განვითარების საშუალებაა.

- ✚ პროსოციალური სურვილი/მოტივი - უკავშირდება მოღვაწეობის საზოგადოებრივი მნიშვნელობის გაცნობიერებას. ამ შემთხვევაში ადამიანი სწავლობს უცხო ენას, რადგან ის აცნობიერებს სწავლისა და სწავლების სოციალურ მნიშვნელობას.

რაც შეეხება შინაგან მოტივაციას, ის დაკავშირებულია არა გარე პირობებთან, არამედ თავად საგანთან. მას ხშირად პროცესუალურ მოტივაციასაც უწოდებენ. ადამიანს მოსწონს ესა თუ ის უცხო ენა, მოსწონს სწავლის პროცესი, მოსწონს, როცა ის საკუთარ ინტელექტუალურ აქტივობას ამჟღავნებს. გარე მოტივებმა (პრესტიჟი, თვითდამკვიდრება) შეიძლება გაამლიეროს შინაგანი მოტივაცია, თუმცა მათ არ აქვთ უშუალო კავშირი ქმედების პროცესთან და შინაარსთან.

სწავლების მოტივაცია შეიძლება დაიყოს დადებითად და უარყოფითად. მაგალითად, კონსტრუქცია „თუ მე კარგად ვისწავლი ფრანგულს, მე მივიღებ უმაღლეს შეფასებას გამოცდაზე“ - ეს დადებითი მოტივაციაა. კონსტრუქცია „თუ მე ვიმეცადინებ ფრანგულს, ჩავაბარებ გამოცდას და არ გამრიცხავენ“ ეს უკვე ნეგატიური მოტივაციაა.

მეტი დამაჯერებლობისათვის ჩავატარე მცირე კვლევა სტუდენტთა შორის მოტივაციის არსებობა არარსებობის გამოსავლენად, მოტივაციის არსებობის შემთხვევაში მაინტერესებდა რომელი მოტივი იყო ყველაზე ხშირი უცხო ენის, ჩვენს შემთხვევაში ფრანგულის შესწავლის პროცესში. სულ გამოიკითხა 50 სტუდენტი, გამოყენებულ იქნა შემთხვევითი არჩევანის პრინციპი. პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა.

- ✚ ვსწავლობ ფრანგულს, რადგან ეს პროგრამით არის გათვალისწინებული - 60%

- ✚ ვსწავლობ ფრანგულს, რომ არ გამრიცხონ - 19%

- ✚ ვსწავლობ ფრანგულს და ინგლისურს, რადგან მინდა მოვეწყო კარგ სამსახურში და მქონდეს კარგი კარიერა 10%

- ✚ ვსწავლობ ფრანგულს, რადგან მინდა ვიმოგზაურო პარიზში, ვნახო ეიფელის კოშკი, ვეკონტაქტო ფრანგებს - 6%

- ✚ ვსწავლობ ფრანგულს, რადგან ეს საინტერესოა - 5%

რა თქმა უნდა გამოკითხვის ეს მეთოდი ვერ ასახავს სრულად სიტუაციას და კითხვარიც მწირია, თუმცა ზოგადი დასკვნების გაკეთება მაინც შესაძლებელია. სტუდენტების უმრავლესობამ უნივერსიტეტში უცხო ენის შესწავლის მთავარ მოტივად პროსოციალური მოტივი დაასახელა ( პროგრამით გათვალისწინებულია/რომ არ გამრიცხონ). შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სწავლის პროცესი მათთვის ან ჩვეულებრივი ფუნქციონირება ან ძალდატანებითი ქმედება. მხოლოდ სტუდენტების მცირე რაოდენობამ აღნიშნა თვითდამკვიდრების მოტივი (კარიერა) და აფილაციის მოტივი (მოგზაურობა, უცხოელებთან კონტაქტი) და სტუდენტების მხოლოდ 5% გააჩნდა შინაგანი მოტივაცია - სწავლობენ ფრანგულს, რადგან ეს მათ მოსწონთ.

სწორედ არსებული რეალობიდან გამომდინარე აუცილებლად მიგვაჩნია შევინარჩუნოთ ან განვაავითაროთ და გავამძაფროთ სტუდენტთა ინტერესი საგნის მიმართ. პრობლემის სირთულე და მრავალწახნაგოვნებას აღნიშნავენ მსოფლიოს წამყვანი მეთოდისტები და ფსიქოლოგები, შესაბამისად იძლევიან რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია. ფსიქოლოგები გვირჩევენ, ვიმუშავოთ სტუდენტებისა და მოსწავლეების შინაგანი მოტივაციის გაღვივებაზე, ასევე აუცილებელია შევინარჩუნოთ პიროვნებაზე ორიენტირებული მიდგომა, შესაბამისად სწავლების პროცესის ცენტრში მოქცეულია სტუდენტი.

მოტივაციის ამაღლების საკმაოდ წარმატებული პედაგოგიური ტექნოლოგია არის პროექტების მეთოდი, გაკვეთილების/ლექციების არატრადიციული ფორმები და ფრანგულის, როგორც უცხო ენის სწავლების კომუნიკაციური მეთოდი. ეს მეთოდი ახალი სიტყვაა მეთოდოლოგიაში და საზღვარგარეთ საკმაოდ აქტიურად გამოიყენება. ის საშუალებას იძლევა სტუდენტი დაეუფლოს ერთბაშად კომუნიკაციურ, ლინგვოქვეყანათმცოდნეობით და მეთოდოლოგიურ კომპეტენციებს. მკვლევარების აზრით, სწავლების ეს მეთოდი საკმაოდ ზრდის სტუდენტების/მოსწავლეთა მოტივაციას და მჭიდრო კავშირშია კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებასთან, კერძოდ მოითხოვს ქსელში ჩართულ კომპიუტერს, რაც საკმაოდ ზრდის სტუდენტთა/მოსწავლეთა ინტერესს უცხო ენების შესწავლის მიმართ. საფრანგეთში, XX საუკუნის ბოლოს

ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობდა გლობალური მიბაძვის მეთოდი (LES SIMULATIONS GLOBALES). ამ მეთოდის მიზანია ენის სწავლების პროცესში აქტიური მეთოდების გამოყენება.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოტივაციის ყველა ზემოთჩამოთვლილი ტიპი არის მთავარი მამოძრავებელი ძალა ადამიანის მიერ უცხო ენის შესწავლის პროცესში. თუმცა, თუ მოტივაცია საკმაოდ ძლიერია, აქტივობა იზრდება, შესაბამისად იზრდება დატვირთვაც, რამაც შეიძლება სტუდენტის მიერ განხორციელებული სამუშაო ნაკლებად ეფექტური გახადოს. ასეთ შემთხვევაში, მოტივაციის ზედმეტი დოზა იწვევს არასასურველ ემოციურ რეაქციებს. სწორედ ამიტომ აუცილებელია მოიმეზნოს ის ოქროს შუალედი, რომელიც უზრუნველყოფს ენის შემსწავლელის მიერ ენის შესწავლის პროცესის სწორად წარმართვას.

ნებისმიერი უცხო ენის სწავლა/სწავლების პროცესში სამი ფუნდამენტური ფსიქოლოგიური მოთხოვნა უნდა იქნას დაკმაყოფილებული:

- ✚ აუცილებელია ენის შემსწავლელმა იგრძნოს, რომ მის წინაშე არსებული სირთულეები იქნება დაძლეული, ხოლო აქტივობები და მიზნები შესრულებული და მიღწეული.
- ✚ ავტონომიის განცდა. ენის შემსწავლელმა უნდა იცოდეს, რომ ის დამოუკიდებელია თავის ქმედებასა თუ მოქმედებაში
- ✚ სოციუმში მუშაობა. ამ მხრივ საუკეთესო საშუალებაა გუნდური მუშაობა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე სამყაროში საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება სწავლა/სწავლების პროცესში დღესდღეობით ყველაზე მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით უცხო ენის სწავლების პირველ საფეხურზე. ამ დროს მათთვის სხვადასხვა არასაკმარისი აქტივობების ან არასტანდარტული პროცედურების შეთავაზება ხელს უწყობს მათი მოტივაციის ამაღლებას. თუმცა მოტივაციის დაქვეითება ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს/სტუდენტს დავუსახავთ ისეთ მოლოდინებს, რომელთა შესრულებაც მათი შესაძლებლობიდან გამომდინარე შეუძლებელია. მოტივაციის როლი, კი, უცხო ენის შესწავლის პროცესში უმნიშვნელოვანესია და შედეგი მეტწილად დამოკიდებულია მოტივაციის ქონა/არქონაზე.

### გამოყენებული წყაროები

Corson, Y : « Émotions et propagation de l'activation en mémoire sémantique », Canadian journal of experimental psychology, 2002, vol. 60, no 2, p. 127-147

Develotte, C: « Approche de l'autonomie dans un dispositif en ligne : le cas du dispositif Le français en (première) ligne », Revue japonaise de didactique du français, 2008, pp. 37- 56

Develotte, C: « Le journal d'étonnement : aspects méthodologiques d'un journal visant à développer la compétence interculturelle », 2002, Lidil, N° 34, pp. 105-124

Dorney, Z (1998): « Motivation in second and foreign language learning », Language teaching, 31, pp. 117-135

Husman, J., & Lens, W. The role of the future in student motivation. Educational Psychologist, 43(2), pp. 113-125

J.S & Wigfield, A : «Motivational beliefs, values and goals », Annual Review of Psychology, 2002, 53, pp. 109-132